საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მიქელაძე დავით (დათა) ალექსანდრეს ძე (ფსევდ. მეველე)

დ. მიქელაძე

მიქელაძე დავით (დათა) ალექსანდრეს ძე (ფსევდ. მეველე) (1843, სოფ. კულაში, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 25. XI. 1918, ქუთაისი), საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, მთარგმნელი. დაამთავრა ქუთ. გიმნაზია (1863); სწავლობდა პეტერბურგის უნ-ტში; იყო პარიზის უნ-ტის თავისუფალი მსმენელი. გაზ. „დროებას“ უგზავნიდა კორესპონდენციებს საფრანგეთიდან. მ-ის პირველი ლექსი „სოფლის მეპატრონე“ 1867 დაიბეჭდა „ცისკარში“. მონაწილეობდა „მამებისა“ და „შვილების“ დისკუსიებში; იცავდა ახ. თაობის შეხედულებებს. 1873 ხელმძღანელობდა ჟურნ. „დროშას“; 1886-იდან თანამშრომლობდა გაზ. „ივერიასთან“. 1910–16 იყო ქუთ. საადგილმამულო ბანკის დირექტორი. მ. აქვეყნებდა ლიტ.-კრიტ. წერილებს, თეატრ. მიმოხილვებსა და სხვ. თარგმნა და წიგნად გამოსცა ლ. ტოლსტოის „მეუფება წყვდიადისა“ (1908). ქართ. სცენაზე დაიდგა მ-ის პიესა „ხაფანგი“ (გამოქვეყნდა „აკაკის კრებულში“, 1899).

ლიტ.: მ ა ღ რ ა ძ ე ე., მეველე (დათა მიქელაძე), თბ., 1963; ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი ს., დავით მ ი ქ ე ლ ა ძ ე , წგ. ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1962.

თ. დოლიძე